თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 21 თებერვალი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ანდრო მაღლაკელიძე	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.
ლევან ჭანჭალეიშვილი	– ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	– ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტური სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი: კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირის პირველი შესახვევის დასაწყისთან და რუსთაველი პეტრიწის ქუჩის გადაკვეთაზე ახალი შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №685. 18.02.2013)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ლევან ჭანჭალეიშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტები წარმოადგინა 2 (ორი) პრეტენდენტმა:

1. შ.პ.ს „გეომეფი" – 3100 (სამიათასასი) ლარი დღგ–ს ჩათვლით.
2. შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი" – 2100 (ორიათასასი) დღგ–ს ჩათვლით.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2013 წლის 21 თებერვლის 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს „გეომეფი" –ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ - კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

შ.პ.ს „გეომეფი“ მიიღო 20,8 ქულა.
შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“ მიიღო 25,1 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ - კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირის პირველი შესახვევის დასაწყისთან და რუსთაველი პეტრიწის ქუჩის გადაკვეთაზე ახალი შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი“.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა" და „მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.
3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი